

იოსებ სიბომევილი

წერა  
ციცი



იოსებ სიბოშვილი

ნეიტა  
6060



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი, 2016 წელი

ერთობის ჩემს გრძელების მეტობის წარმატების  
ნიშან დოკუმენტის მშენებლის

---

---

ავტორი მადლობას უხდის ბატონ  
ლაერტი ზუბადალაშვილს  
წიგნის დაბეჭდვაში გაწეული დახმარებისათვის

რედაქტორი  
მანანა გორგიშვილი

მხატვარი  
ნინო მლებრიშვილი  
დამპაპადონებელი  
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-465-20-8

უნათლისმცემლე ცხოვართა განბნეულთა,  
ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეჰქრიბე და  
მიჰვარე ქართველნი ღმერთსა მართალსა,  
დედაო წმიდაო ნინო, ევედრე შვილთა  
შენთათვის ქრისტესა ღმერთსა. ამინ!

---

სიცყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო  
და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო,  
ქართველთა განმანათლებელო და სულისა  
წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა  
შეწყალებათ სულთა ჩვენთათვის. ამინ!



მცხეთაში ფერიცვალების დილა თენდებოდა. თუმცა ქართლის წარმართულ დედაქალაქში ამ დღესასწაულის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამბავი ელიოზის, მისი დის სიდონიას და ჯვარცმული იესოს კვართის შესახებ დიდი ხანია დავიწყებას მისცემოდა. ქართველები თავიანთ ღმერთად არმაზს თვლიდნენ, რომელსაც გვერდს უმშვენებდნენ ოქროს და ვერცხლის კერპები გაც და გაიმ. მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიაში სახარების საქადაგებლად წამოსულმა მოციქულებმა ანდრიამ, სიმონმა და მატათამ შეძლეს ქრისტეს რჯულზე მოექციათ ქართველთა გარკვეული ნაწილი, უმრავლესობა მაინც თვლიდა, რომ ამბავი ადამიანად განხორციელებული ღმერთის შესახებ ზღაპარი იყო. თუ ვინმე გაიხსენებდა იესოს, არმაზის მომსახურე ქურუმები მაშინვე მიახლიდნენ ხოლმე:

— მერამდენედ უნდა გითხრათ ერთი და იგივე! იერუსალიმელმა მღვდელმა ანამ ხომ მოსწერა ელიოზს, რამეთუ „იგივე ყრმა, რომლისათვის სპარსი მოგუვნი ძღუენითა მოვიდეს, აღზრდილ არს და ჰასაკასა ზომისასა მოწევნულ არს იგი და თავსა თვისსა ძედ ღმრთისა ხადის. ან მოვედით ყოველნი, რაითა აღვასრულოდ მცნებაი მოსესი.“

— მოსემ, ღმერთის კაცმა, დაგვინერა, რომ ღმერთის შვილი წამებით მოჰკალითო!? — კითხვითვე პასუხობდნენ ქრისტეს მიმდევრები.

— მოსემ დაწერა: „რომელი იტყვის ქვეყანასა ზედა ღმრთად თავსა თვისსა, ძელსა დამოეკიდენ.“

— ეს ადამიანზეა ნათქვამი და არა განკაცებულ ღმერთზე. ერთხელაც იქნება, ზეცად ამაღლებული უფალი გადმოგვხედავს და დაამსხვრევს კაცის ხელით გაკეთებულ კერპებს! — უკან არ იხევდნენ ქრისტიანები. ისინი სულ რამდენიმე მორწმუნეს ითვლიდნენ და არც საიმისო ძალა გააჩნდათ, რომ ღრმად ფესვებგადგმულ წარმართულ სარწმუნოებას შებრძოლებოდნენ.

ამას ისიც უშლიდა ხელს, რომ ქართლის მეფე მირიანი სპარსი, ხოლო დედოფალი ნანა პონტოელი გახლდათ. მათ წარმართული ღმერთებისა და კერპებისადმი ლტოლვა სისხლში და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი.

ირიურავა. მცხეთის სიახლოვეს, ურბნისში, ადამიანთა-გან განმარტოებული, მუხლმოდრეკილი ქალწული ხეზე დაბ-რძანებული ვაზის ჯვრის წინ ლოცულობდა, ფერიცვალების დღესასწაულს ულოცავდა ადამის მოდგმას და შესთხოვდა ღვთისმშობელს, რამეთუ მეოხი ყოფილყო თავის ძესთან, ერი ესე მოექცია ქრისტეს რჯულზე. ქალწულს თავი დახრილი ჰქონ-და და მიწა ცრემლით დაესველებინა. ბოლოს ჯვარს შეხედა, მისი სახე არაამქვეყნიური სილამაზით იყო გაბრნყინებული, თვალებზე ცრემლი ნიაღვარივით ჩამოსდიოდა, მხრებზე გაშ-ლილი წაბლისფერი თმით შეიმშრალა იგი, ულამაზესი მაყვლის-ფერი თვალებით შეხედა ჯვარს და დაბალ ხმაზე წარმოთქვა:

— უფალო იესო ქრისტე, ჩვენთვის ჯვარცმულო, მომეც ძალი, რათა შევძლო ამ ხალხის ჭეშმარიტების გზაზე დაყენება.

ქალწულმა კვლავ დახარა თავი და ატირდა.

— ნინო. — ჩაესმა ძალიან ნაზი ხმა.

ქალწულმა ანაზდად გაიხედა ჯვრისკენ და მის სიახლოვეს თეთრად შემოსილი ღვთისმშობელი დაინახა.

— დედაო ღვთისავ! შემინდე მე ცოდვილს, რომ ამდენს განუხებ ჩემი ლოცვით.

— ნინო. — კვლავ გაიმეორა ღვთისმშობელმა, — შენ აქ ჩემი თხოვნით გამოგაგზავნა ჩემმა ძემ. ეს ხალხი უნდა მოაქციო ჭეშ-მარიტ სარწმუნოებაზე, რათა გადარჩენენ. ივერია ჩემი წილხ-ვედრია. ჩემმა ძემ, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, მე არ გამ-ომიშვა ამ ქვეყანაში, მაგრამ შემპირდა: „არ გავნირო ერი ესე საზეპურო უკანასკნელ უამამდისო.“ მე ვთხოვე უფალს, რომ გაიღოს მოწყალება და დაგეხმაროს ამ ჭეშმარიტი საქმის აღ-სრულებაში. მე მუდამ შენთან ვიქნები.

ნინომ თავი ასწია. ვაზის ჯვარი არაამქვეყნიური სიკაშვაშით იყო გაბრნყინებული.



ლოცვისა და გამოცხადებისგან აღფრთოვანებული ქალწული ფეხზე წამოდგა, ახლად ამოსული მზის სხივები ნელ-ნელა კვეთდნენ სიბნელით მოცულ არემარეს და ქვეყანაზე ნათელი მკვიდრდებოდა. ნინო დაბრუნდა ურბნისში და მოედანზე შეგროვილ ხალხს შეუერთდა, რომელნიც, როგორც გაირკვა, მცხეთაში აპირებდნენ წასვლას. იყო საყვირებისა და ყიუინის ხმა. მალევე დაიძრნენ და მეექვსე უამისთვის დედაქალაქში შევიდნენ. ყველანი მეფის სასახლისკენ მიიწვდნენ, რათა ეხილათ მეფე და დედოფალი. ნინო გაჰყვა ხალხს და მის გვერდით მიმავალ ქალს გამოელაპარაკა:

— რატომ შეიკრიბა ამდენი ხალხი? რა ხდება?

— ღმერთი არმაზი უხმობს მეფეს და ხალხს ზვარაკის შესანირად. იქვე დიდი ვაჭრობაც გაიმართება. — უპასუხა ქალმა, რომელიც ებრაულ ენაზე საუბრობდა.

მეფე და დედოფალი, დიდებულთა თანხლებით, სასახლიდან გამოვიდნენ. ხალხი მათ ქება-დიდების შეძახილებით მიეგება. მეფემ და დედოფალმა ამალისა და ხალხის თანხლებით არმაზისაკენ გასწიეს.

ნინომ, უფლის შთაგონებით, იჩქარა და ხალხს შეასწრო არმაზის ციხეში. ზღუდის ნაპრალთან მდგომმა შეხედა არმაზის კერპს, რომლისაც ეშინოდათ მეფეს, მთავრებს და მთელ ერს. მის წინ იდგა ერთი, ადამიანის ხელით სპილენძისაგან გაკეთებული, კაცი. ტანზე ოქროს ჯაჭვი ემოსა, თავზე ოქროს ჩაფეუტი ეხურა, სამხრეებიც ოქროსივე ჰქონდა, მოჭედილი ძვირფასი თვლებით და ხელთ ხმალი ეპყრა. ხალხში ასე ამბობდნენ: „მას თუ ვინმე შეეხება, სასიკვდილოდ გაიწირება.“ ამიტომაც თაყვანს სცემდნენ არმაზის კერპს, შიშით და მოკრძალებით იტყოდნენ ხოლმე:

— ვაიმე, არ დავაკლოთ დიდება ამ დიდ ღმერთს, არმაზს ან შევცდეთ ებრაელებისა და მოგვების მოსმენით, რომელნიც იტყვიან რაღაც უცხო ღმერთის შესახებ, არ გვიპოვოს რაიმე ბინი არმაზმა და არ გვცეს თავისი მახვილი, რომლისაც ყველას ეშინია!

ნინომ არმაზის გვერდით შენიშნა ორი კერპი, მარჯვნივ ოქროსი, რომელსაც ეძახდნენ გაცს და მარცხნივ ვერცხლისა,

რომლის სახელიც იყო გაიმი. ქართველები მათაც ღმერთებად მიიჩნევდნენ. ყოველივე ამის შემყურე, ტიროდა და ოხრავდა ქალწული. მას ეცოდებოდა ეს ლამაზი და სიცოცხლით სავსე ხალხი, რომელთათვისაც ნათელი დაფარული იყო და ისინი ჯერ კიდევ ბნელში იყვნენ. მეფენი და მთავარნი, ერთან ერთად, ცოცხლად შთანთქა ჯოჯოხეთს. მათ მიეტოვებინათ შემოქმედი და თაყვანს სცემდნენ ადამიანის მიერ გამოჭედილ სპილენძ-სა და რვალს.

ნინომ ზეცას მიაპყრო მზერა და თქვა:

— უფალო, ერთი წმიდა სამებათაგანი კაცად იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, ნუ უგულებელყოფ ამათ, რამეთუ კაცი – ადამიანი შენი ხატი არის, მოხედე წყალობით ამ ერს, შერისხე სოფლის მპყრობელი, ბნელეთის მთავარი უჩინო სულები. მიჩვენე მე, უფალო ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალ-სა შენსა, რათა იხილობ ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა მაცხოვარება შენი, რათა ჩრდილოეთი სამხრეთთან ერთად იხარებდეს და ყოველმა ერმა შენ გცეს თაყვანი შენი ძის, იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც შვენის მადლობა და დიდების მეტყველება.

როგორც კი დაასრულა ნინომ ლოცვა, ამოვარდა დაასავლეთის ქარი, გაისმა საზარელი ქუხილის ხმა, გამოჩნდა ღრუბლები საშინელი ნიშნით, დასავლეთის ნიავმა მოიტანა ძლიერ მყრალი და მნარე სუნი. ეს რომ ხალხმა დაინახა და შეიგრძნო, დაინყეს თავშესაფრის ძებნა და გარბოდნენ ქალაქისა და სოფლებისაკენ. რისხვის ღრუბელი კერპების ადგილსამყოფელს დაადგა თავზე და ჩამოუშვა სეტყვა „ორთა მიერ ხელთა მძლედ ძლივ სატყიორცებელი.“ დაამსხვრია კერპები და შემუსრა. სასტიკმა ქარმა დაარღვია ზღუდენი და კლდეთა ნაპრალებში ჩაამხო. ხოლო ნინო გაუნძრევლად იდგა თავის ადგილზე და არ განძრეულა. იგი მშვიდად უყურებდა ყოველივეს. ქარის დაცხოომის შემდეგ ქალწულმა ზეცას გახედა. ცას სილაჟვარდე თანდათან უბრუნდებოდა. მზემაც უმატა სიკაშკაშეს. ნინომ შენიშნა, რომ აღმოსავლეთიდან მცხეთისკენ ღრუბელი მოცურავდა. იგი განსხვავდებოდა სხვა ღრუბლებისაგან. ის გაცისკროვნებული და გამშვენიერებული იყო. ასეთი ღრუბელი ნინოს მხოლოდ იერუ-

სალიმში, თაბორის მთის თავზე, ფერიცვალების დღესასწაულზე ჰქონდა ნანახი. ღრუბელი მეფის სასახლის ბალის თავზე გაჩერდა და ნათელი სვეტი დაუშვა მიწაზე. ნინო განცვიფრებული უცქერდა ამ სასწაულს. მას სახეს არაა მქევეყნიური ნათელი მოეფინა. ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე, თვალები მიაპყრო დვთის მიერ მოვლენილ საოცრებას და აღმოხდა:

— კვართის პატრონი მობრძანდა. დიდება შენდა უფალო იესო! ნინო გამოვიდა კლდის ნაპრალიდან, წავიდა, კლდის ქიმისკენ, სადაც იდგა ძველი ციხე. მიუახლოვდა მაღალ და რტომრავალ აკაკის ხეს. ხის ძირას გააკეთა ქრისტეს ჯვრის ნიშანი და შეუდგა გულმსურვალე ლოცვას.

„და იყო მეექვსე დღე იმ თვისა, როცა ემანუელმა, თაბორის მთაზე მამის ხატი უჩვენა მოციქულების და წინასწარმეტყველების მეთაურებს.“

\*\*\*

არმაზის კერპის დაქცევის შესახებ მითქმა-მოთქმა მთელ ქართლის ქვეყანაში მრავალ ჭორ-მართალს ბადებდა. მეფემ სათათბიროდ მოიწვია მთავრები და ქურუმები. დიდი ბჭობის შემდეგ დაადგინეს, რომ არმაზის დაქცევა ქალდეველთა ღმერთის-გან მოდიოდა. მეფე მირიანმა განუცხადა დიდებულებს:

— ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ღმერთი არმაზი მტრები არიან, ამან ერთხელ მასზე ზღვა მიაქცია და ახლა მან იძია შური.

ქურუმებმა კი, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კერპების დამსხვრევით, სულ სხვა მიზეზი მოახსენეს მეფეს:

— მეფეო, ეს იმ ღმერთის გაკეთებულია, რომელმაც თრდატმეფე ჯერ გარეულ ღორად და შემდეგ ისევ კაცად გადააქცია.

— ეს ქრისტიანთა დევნის გამო მოხდა. თრდატი სდევნიდა და ხოცავდა მათ. ჩვენთან კი ქრისტეს მიმდევრები ძალიან მცირენი არიან და ამიტომ ამ ამბავში ქალდეველთა ხელი ურევია. თუმცა, სულ ახლახანს შემატყობინეს, რომ კონსტანტინე ბერძენთა



მეფე, მაქსიმიანე გალერიუსის და მაქსენტის წინააღმდეგ ბრძოლის მოგებისათვის, ვიღაც ჯვარცმულს ევედრებაო.

— მეფეო, ეგ ებრაელთა მიერ მოკლული ემანუელია, რომლის ცრუ მოძღვრებამაც აღმოსავლეთში უკვე ბევრი ადამიანი აიყოლია და მოაკვლევინა. — თქვა ბოდის მთვარის ღვთაების ტაძრის მთვარმა ქურუმმა აღსართანმა.

— შენ ეგვინგამცნო, აღსართანი! — ჰკითხა გაოცებულმა მეფემ.

— ჩვილთა შეწირვის ერთ-ერთი რიტუალის დროს გამოგვიცხადა ჩვენმა ღვთაებამ, მეფეო.

მეფემ მარჯვენა ხელი ასწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა შეწყვეტილი იყო. შემდეგ ბრძანა, მოეხმოთ მთავარსარდალი. დარბაზში იარაღასხმული ახოვანი მეომარი შემოვიდა. მეფემ მისალმებაც არ აცალა და ჰკითხა:

— მზად ხართ?

— დიახ, მეფეო. ახლახანს სპარსთა მალემსრბოლელიც გვეახლა. თქვენი ძმისწულიც ხვალ უთენია დაძრავს ლაშქარს საპერძეოთისკენ.

— მზადყოფნა მიპრძანებია! დილით გავდივართ!

შემდეგ მირიან მეფემ დარბაზს მიმართა:

— ჩვენ და სპარსთა მეფემ, ჩემმა ძმისწულმა, კონსტანტინეს წინააღმდეგ ოში თანადგომა გამოვუცხადეთ მაქსიმიანე გალერიუსს და მაქსენტის. როგორც ჩვენმა წინასწარმეტყველებმა გვამცნეს, ჩვენ გავიმარჯვებთ. ამას ჩვენი რიცხობრივი უპირატესობაც ადასტურებს. ასე რომ, მალე ქართლის სამეფო გაფართოებას და გაძლიერებას დაიწყებს. დიდება არმაზს! დიდება ჩვენს ღმერთებს!

მეორე დღეს, უთენია, ქართველთა მხედრობა საპერძეოთისკენ დაიძრა.

\*\*\*

ქალწული ნინო კი, არმაზის კერპის დამსხვრევის შემდეგ, განაგრძობდა მხურვალე ლოცვას და ქადაგებდა ქრისტეს რჯულს. უფლისგან მას მიეცა სწეულთა განკურნების ნიჭი, რომლის მეშვეობითაც ბევრი ადამიანი განკურნა.

ნინომ მცხეთაში გაიცნო ერთი ებრაელი მღვდელი აბიათარი და მისი ასული სიდონია, რომელთაც უქადაგა სახარება. ეს ის აბიათარ მღვდელია, რომელსაც ანტიოქიელი ებრაელი მღვ-დლებისგან წერილით ეცნობა: „სამად გაჰყო ღმერთმა ისრაელის სამეფო. ჩვენი წინასწარმეტყველები დაცხრნენ, აღსრულდა ყოველივე და განვიძნიერით ყველა ქვეყანაში. რომაელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა. ვტიროდით ერთურთს, რამეთუ განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი. ახლა კი განიხილე მოსეს წიგნი და ის სიტყვა, რომელიც დაგვინერა ჩვენ: „რომელი იტყვის ქვეყანასა ზედა ღმრთად თვისსა, ძელსა დამოეკიდენ.“ ან რომ ავცდენოდით იესო ნაზარეველის სიკვდილს! რამეთუ ვხედავთ, როცა ჩვენი წინაპარი მამები შესცოდებდნენ ხოლმე ღმერთს და დაივიწყებდნენ მას, მაშინ ტყვეობასა და განსაცდელში ხვდებოდნენ, ხოლო როცა მოიქცეოდნენ და შესთხოვდნენ, მაშინ სრულიად განეშორებოდნენ ჭირს. ეს შვიდგზის ვიცით წერილი-დან, ხოლო ახლა, რადგანაც ჩვენმა მამებმა ხელი შეახეს ამ მნირი დედაკაცის ძეს და მოკლეს ის, აიღო ღმერთმა ხელი წყალობისა ჩვენგან და გაჰყო ჩვენი სამეფო, განგვაშორა მის წმიდა ტაძარს და უგულებელყო ჩვენი ერი სრულიად და ამის შემდეგ გავიდა სამასი წელი და მეტიც, აღარ შეისმინა ჩვენი ვედრება და უნდა ვიფიქროთ, რომ ზეცით იყო ის კაცი.“

აბიათარმა ნინოს წაუკითხა ანტიოქიელი ებრაელი მღვ-დლების ეს წერილი და უთხრა:

— ახლა ვხვდები, რომ ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი, რათა შევიცნოთ ჭეშმარიტება, რამეთუ ჩვენ უკვე განწირულნი ვართ.

— უფალო აბიათარ, უფალი ჩვენი იესო ქრისტე რომ ზეციდან იყო, ამის დასტური უამია, რამეთუ ეს ჯერ კიდევ მათი მნამებლების დროს გახდა ცნობილი. ერთ-ერთმა ფარისეველმა, რჯულის მოძღვარმა გამალიელმა, რომელსაც ჭკუა და გონება ჭეშმარიტად ღვთისგან ჰქონდა, სინედრიონს და განსაკუთრებით იესო ნაზარეველის უშუალო დამსჯელს, კაიაფას ასე მიმართა: „კაცნო ისრაელიალნო, დაფიქრდით ამ ხალხზე, რას უპირებთ მათ. ვინაიდან ამ დღეების წინ აღდგა თევდა და თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა და ოთხასამდე კაცი გაჰყვა მას. მაგრამ ის მოკლეს და

ყველა, ვინც მორჩილებდა მას, გაიფანტა და არარად იქცა. ამის შემდეგ, აღნერის დროს აღდგა იუდა გალილეველი და დიდძალი ხალხი გაიყოლია. ისიც დაიღუპა და ყველა, ვინც მას მორჩილებდა, გაიფანტა. ახლა გეუბნებით თქვენ: ჩამოშორდით ამ ხალხს და მოეშვით მათ, ვინაიდან, თუ კაცისგან არის ეს ზრახვა ანდა საქმე, ჩაიფუშება. ხოლო თუ ღვთისგან არის, მაშინ თქვენ ვერ ჩაფუშავთ მას და ვაი თუ ღვთის მოწინააღმდეგენი აღმოჩნდეთ. “

— შეისმინეს მისი სიტყვა სინედრიონის წევრებმა? — იკითხა აბიათარმა.

— თავდაპირველად კი, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ კვლავ გააგრძელეს ქრისტეს მიმდევრების დევნა, რამაც დიდი უბედურება მოუტანა ებრაელებს და იერუსალიმს. რომაელთა ჯარი შეესია მათ, სისხლისმსმელი ტირანის, ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს მეთაურობით. ხანგრძლივი ალყის შედეგად ქალაქში ადამიანის ხორცის ჭამა დაიწყეს. ჩამოყალიბდა ავაზაკთა ბანდები, რომლებიც საჭმელზე ნადირობდნენ და ამის გამო ადამიანთა მოკვლასაც არ ერიდებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი ნადირობის ჟამს დედაკაცს შეუსწრეს სახლში, რომელიც საკუთარ ჩვილ ბავშვს ხარშავდა. ასეთმა შემზარავმა სურათმა თვით ავაზაკებშიც გააღვიძა სინდისი და ისინი უკუიქცნენ სახლიდან. ბოლოს იერუსალიმმა ველარ გაუძლო ალყას და დაეცა. ტიტუსმა ის მიწასთან გაასწორა და, როდესაც მტარვალი განადგურებულ, ცეცხლში გახვეულ და მკვდრებით სავსე ქალაქს უყურებდა, გაკვირვებულმა იყვირა: „ეს მთლიანად ჩემი ნამოქმედარი არ არის, აქ უზენაესის ხელი ურევია.“

— ქრისტიანები? — იკითხა აბიათარმა, — ქრისტიანებიც დაიხოცნენ?

— როდესაც ქრისტემ იწინასწარმეტყველა იერუსალიმის განადგურება, იქვე სახარებაში მოუწოდა ქრისტიანებს, რომ მთებში გახიზნულიყვნენ, რაც მათ გააკეთეს და გადარჩნენ.

— მართლა ღმერთის ძე ყოფილა იესო ნაზარეველი, — თქვა აბიათარმა, შეხედა ნინოს, მოკრძალებით თავი მოდრიკა მის წინაშე და განაგრძო, — მე მინდა, რომ ჩემს ასულთან, სიდონი-



ასთან ერთად, ქრისტეს მიმდევარი გავხდე. ამიერიდან მიგულე შენს თანამოაზრედ.

აბიათარ მღვდელი დიდი მცოდნე გახლდათ ძველი აღთქმისა. ახალი აღთქმა ნინოსგან ისწავლა და დაიწყო ერში ქადაგება, რის გამოც მას ხალხმა ახალი პავლე უწოდა.

ქართლში ქრისტეს რჯულის ქადაგება გაცხადებულად დაიწყო.

\*\*\*

დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის საბრძოლო დაპირისპირებაში ჩართულმა ქართლის მეფე მირიანმა სასტიკი მარცხი იწვნია იმპერატორ კონსტანტინესთან, რომელმაც მცირე რიცხოვანი ჯარით დაამარცხა მასზედ რიცხობრივად მეტი მონინააღმდეგე. კონსტანტინე წარმართ ღმერთებს ევედრებოდა, რათა გამარჯვება მოეპოვებინათ მისთვის. ყველა წარმართულმა მსხვერპლთშეწირვამ უშედეგოდ ჩაიარა. დახმარების იმედით ზეცას მიპყრობილმა კონსტანტინემ გაბრწყინებული ჯვარი დაინახა წარწერით: „ამით სძლევ!“ იმპერატორმა ბრძანება გასცა, საბრძოლო იარაღებზე ქრისტეს მონოგრამა გამოესახათ. მართლაც, კონსტანტინემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და აღიარა ქრისტეს რჯული.

საბერძნეთიდან იმპერატორ კონსტანტინეს მიერ დამარცხებული მირიან მეფის მოსვლამდე ნინომ გაცხადებულად დაიწყო ქრისტეს რჯულის ქადაგება, გამოაჩინა ვაზის ნასხლევის ჯვარი და მით იქმოდა დიდ საკვირველებას. ჯვრის შეხებით, წამლის გარეშე განკურნა განრდვეული.

ნინო დაუცხრომლად ლოცულობდა თავის საყუდელში, მაყვლოვანში. ყველანი გაოცებულნი იყვნენ მისი ლოცვითა და მღვიძარებით. იგი განუწყვეტლივ ქადაგებდა სახარებას და ხალხის გულში ნერგავდა ქრისტეს სიყვარულს. განკურნა უამრავი ადამიანი. ნანა დედოფალიც დასწეულდა. ვერვინ განკურნა იგი. აუწყეს დედოფალს, რომ „რომაელი ტყვე დედაკაცის ლოცვით, რომელსაც ნინო ჰქვია, მრავალნი სწეულნი განიკურნენ.“ დედოფალმა იხმო თავისი მსახურნი და უბრძანა:

— ახლავე წადით და აქ მომგვარეთ ის უცხო ღმერთის მქადაგებელი ტყვე ქალი!

მსახურები უმალ გაეშურნენ ნინოს მოსაყვანად. იყო მე-ექვსე ჟამი და ნინო მაყვლოვანში იდგა ლოცვად. გადასცეს მას დედოფლის ბრძანება. ნინომ გაიხედა მაყვლოვანში დაბრძანებული ჯვრისკენ და მცირე დროის გასვლის შემდეგ უპასუხა მსახურებს:

— არა მაქვს ბრძანება ღმერთისგან, რომ მივიდე იქ, სადაც ჩვენი შვება არ არის, თვითონ დედოფალი მობრძანდეს ჩემს სამყოფელში და ჭეშმარიტად განიკურნება ქრისტეს ძალით.

ნანა დედოფალმა, მოისმინა რა ნინოს დანაბარები, რა თქმა უნდა, არ ეამა, რომ ასეთი რამ ჰკადრეს მის სამეფოში, მაგრამ უძლურება და ტკივილები ისე ანუხებდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა, ამიტომ ბრძანა:

— შემიმზადეთ საწოლი და მიმიყვანეთ მასთან!

ნინომ დედოფალი მაყვლოვანში მიიღო. დედოფალმა შეხედა ტყვედნოდებულ მხევალს და უთხრა:

— მე, დედოფალი, დავემორჩილე შენს ბრძანებას და თუ ვერ შეძელი ჩემი განკურნება, ხომ იცი, რაც გელის!?

— ყველაფერი ღმერთის ნებაა, დედოფალო. — უპასუხა ნინომ და მოილო ჯვრი. შეახოთ თავზე, ფეხებსა და მხრებზე ჯვრის სახით.

დედოფალმა მყისიერად იგრძნო შვება. სხეულში რაღაც არაამქეყნიურმა სითბომ გაუარა. შემდეგ გააურუსოლა, თთოქოს რაღაც უხილავი გაშორდა მის გვამს. ერთი ამოისუნთქა და სახეზე სიამოვნებისაგან მიყენებულმა ღიმილმა გადაურბინა. შემდეგ თვალი მოავლო გარშემო მყოფთ, უფლისწულ რევის, რომელიც დედას თვალს არ აშორებდა, შეხედა ნინოს და აღფრთოვანებულმა ნამოიძახა:

— მე განვიკურნე! არ არის სხვა ღმერთი ქრისტეს გარდა, რომელსაც ქადაგებს ეს ტყვე დედაკაცი! დღეიდან შენ ჩემი მეგობარი იქნები, ნინო!

ნანა დედოფალმა დაიწყო ქრისტეს რჯულის შესწავლა. ნინოს, აბიათარ მღვდელის და სიდონიას მეშვეობით, დედოფალმა შეისწავლა ქრისტეს ცხოვრება, მოღვაწეობა და გახდა ფრიად მორწმუნე.

მიუხედავად იმისა, რომ მეფე მირიანმა ქრისტეს ძალა ჯერ კიდევ იმპერატორ კონსტანტინესთან ომის დროს დაინახა და საკუთარ თავზე გამოსცადა, მაინც ორგულობდა და ეჭვიანობდა ქრისტეს რჯულის მიმართ. დედოფლის სასწაულებრივ განკურნებასაც შემთხვევითობას მიაწერდა და ფიქრობდა, რომ ყოველივე წარმართული ღმერთების დამსახურება იყო.

ერთხელ სასახლეში ხმა დაირჩა, მეფის ნათესავი, სპარსელი მთავარი მოგვი ხუარა დასწეულდა და სიკვდილის პირას არისო.

ნანა დედოფალმა მსახური მაშინვე ნინოსთან გააგზავნა. სასახლეში მოსულ ნინოს მეფე და დედოფალი დახვდნენ. დედოფალი შეევედრა ნინოს, გადაერჩინა ხუარა. მეფემაც იგივე გაიმეორა, თუმცა ამ საქმეს მაინც ეჭვის თვალით უყურებდა და ნინო იხმო თავისთან.

— შენთვის მადლობის მეტი არა მეთქმის ჩემი მეუღლის განკურნებისათვის, მაგრამ თავში მაინც სულ ერთი აზრი მიტრიალებს, რომელი ძალით მკურნალობ ამ ხალხს? ან არმაზის ასული ხარ ან ზადენის შვილი. უცხო ადამიანს ამ ქვეყანაში რომ გეარსება, შეევედრე ჩვენს ღმერთებს და მოგცეს წყალობა, მოგანიჭეს კურნების ძალა. რატომ ქადაგებ რომაელთა შეცდომილ რჯულს? ჩვენს ხალხს სწამს ქართლის ღმერთები არმაზი და ზადენი, ყოველივე დაფარულის გამომძიებელნი, ასევე ჩვენი მამების ძველი ღმერთები გაცი და გაიმ. ამიტომ დაგაყენებ არმაზის მსახურად და შენც კარგად იქნები და ჩვენი ხალხიც.

— თუ ასეთი უძლეველნი არიან თქვენი ღმერთები, მაშინ რატომ ვერ გაუძლეს მოვარდნილ ქარსა და სეტყვას? რატომ დაიმსახურნენ?

— ნინო, ეს არმაზისა და ქალდეველთა ღმერთის ითრუჯანის მტრობის გამო მოხდა. ადრე არმაზმა ითრუჯანზე ზღვა მიაქცია და ამ უკანასკნელმა მას სამაგიერო გადაუხადა. შენ კი ჰემენ ისე, როგორც მე გიბრძანე!

ნინომ მზერა მიაპყრო მეფეს, ხოლო შემდეგ უთხრა:

— ქრისტეს სახელით და მისი დედის ვედრებით, მოავლინოს, მეფეო, შენზე ღმერთმა — ცისა და ქვეყნის შემოქმედმა, ყოველი დაბადებულის დამბადებელმა, თავისი მრავალ მოწყალებისაგან

მადლის ერთი ნაპერწკალი, რათა იცნო და გულისხმაჲყო ცის სიმაღლე და მზის ნათელი, ზღვის სიღრმე და ქვეყნის სივრცე. იცოდე, მეფევ, ვინ მოსავს ცას ღრუბლით და ქუხს ჰაერში, იძვრის ქვეყანა მისი სიმძლავრით. იცოდე, არის მეხთა ტეხა და მის კვალზე ცეცხლი აღეგზნება მისი გულისწყრომით. იცოდე, რომ ღმერთი არის ცაში. თავად ის უხილავია ყოველივე დაბადებულისაგან, გარდა მისი ძისა, რომელიც მისგან გამოვიდა და ქვეყნად მოვიდა, როგორც კაცი, რომელმაც აღასრულა ყოველივე, რისთვისაც იყო მოსული და აღვიდა ზეცაში მამასთან და იხილა დაუსაბამო, რომელიც მაღლაა და მდაბალთა ხედავს. მალე მოგხედავს ღმერთი, რამეთუ არის ამ ქალაქში ერთი სასწაული – სამოსელი ღმერთის ძისა და თქვეს ელიას ხალენიც აქ არისოდა მრავალი სასწაულია, რომელსაც ღმერთი გამოაჩენს.

— ამას დამტკიცება უნდა, ნინო. მაშინ სთხოვე შენს ღმერთს და ახლავე განკურნოს ჩემი ერთგული ხუარა.

ნინომ წაიყვანა მთავარი, დააყენა სახით აღმოსავლეთით, ააწევინა ხელები და ათქმევინა სამგზის: „განვეშორები შენგან, ეშმაკო, და შევუდგები ქრისტესა ღმერთის ძესა!“

ტიროდა ნინო და შესთხოვდა ღმერთს განეკურნა მთავარი.

სული ბოროტი მყისიერად გავიდა ხუარასგან და იგი განიკურნა.

მეფემ ირწმუნა ქრისტეს რჯული, თუმცა ეშმაკი არ ისვენებდა და ერთხელ მუხრანისკენ სანადიროდ მიმავალ მეფეს გულში ჩაუდო კერპებისა და ცეცხლის სიყვარული. მეფე შეჩერდა და თავის მხლებლებს განუცხადა:

— ღირსნი ვართ, რომ ჩვენმა ღმერთებმა ბოროტი გვიყოს, რამეთუ აღარ ვემსახურებით მათ და მიგუშვით თავის ნებაზე გრძნეული ქრისტიანი, რომელიც თავის რჯულს ქადაგებს ჩვენს ქვეყანაში და გრძნეულებით აკეთებს თავის საკვირველებას. მე გადავწყვიტე, გავწყვიტოთ ჯვარცმულის ყველა თაყვანისმცემელი და ვემსახუროთ ქართლის მპყრობელ ღმერთებს, ვამხილოთ დედოფალი ნანა, ჩემი ცოლი, მოვანანიებინოთ და დავატოვებინოთ ქრისტეს რჯული. თუ არ დამემორჩილება, დავივიწყებ მის სიყვარულს და სხვებთან ერთად წარვწყმიდავ მასაც.



მხლებლები დაეთანხმნენ მეფეს და განაგრძეს გზა თხოთის მაღალ მთისკენ. მოიხილა რა იქიდან კასპი და უფლისციხე, სამხრობისას დაბნელდა ირგვლივ ყოველივე. ისეთი უკუნი სიბნელე ჩამოწვა, რომ მეფე და მისი თანმხლებლი გზას ვეღარ იკვლევდნენ. მეფე ერთ ადგილას დადგა შეშინებული და შეძრწუნებული. დახმარებისათვის მიმართა თავის ღმერთებს, მაგრამ ვერ უშველეს. ბოლოს გაიფიქრა: „ჩემმა ღმერთებმა ვერაფერი გააწყეს ჩემს საშველად. ნუთუ ნინოს ღმერთს, ჯვარცმულს, არ შეუძლია ამ ჭირისაგან ჩემი ხსნა?“ შემდეგ მოიკრიბა უკანასკნელი ძალნი და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ნინოს ღმერთო, განმინათლე ეს ბნელი და მიჩვენე ჩემი სამყოფელი და ვალიარებ შენს სახელს, აღვმართავ ჯვრის ძელს და თაყვანს ვცემ მას. ავაშენებ ჩემთვის სამლოცველო სახლს და ვიქნები მორჩილი ნინოსი რომაელთა რჯულზე.

როგორც კი მეფემ წარმოთქვა ბოლო სიტყვა, გამობრწყინდა მზე და განათდა არე-მარე. მირიანი ჩამოქვეითდა ცხენიდან, გაიხედა აღმოსავლეთისკენ, ასწია ხელები მაღლა და შეჰდალა-და ზეცას:

— შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსაც ნინო იტყვის. ამ ადგილას აღვმართავ ძელის ჯვარს, რომლითაც იდიდება შენი სახელი და მოიხსენიება ეს სასწაულებრივი საქმე უკუნისამდე.

მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე დღესვე მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს, კონსტანტინე მეფესთან და სთხოვა მღვდლები გამოეგზავნა ნათლისლებისათვის.

სანამ კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილი მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ სამეფო ბაღში ეკლესიის მშენებლობა გადაწყვიტა. ხუროებმა ნაძვის ხისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. მეფემ ხალხი მოაყვანინა, რათა მათი სიმრავლით აღემართათ მძიმე სვეტი, მაგრამ ვერ შეძლეს. დაღონდა მირიანი.

— ეს ყველაფერი ჩემი ცოდვების გამო ხდება. — ამბობდა შენუხებული მეფე.

— მეფევ ბატონო, — დაამშვიდა იგი ნინომ, — ნუ შენუხებით. წაპრძანდით სახლში, დაისვენეთ, ხვალ უფალი გაიღებს მოწყალებას და დაგვეხმარება.

ნავიდა მეფე დალონებული, ხოლო ნინო, თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად, ლოცვად დადგა. გოდებდა სვეტზე და ცრემლი თვალთაგან ნიაღვარივით მოსდიოდა. უცებ მან და მისმა მოწაფეებმა იხილეს, რომ შუალამისას გადმოიქცა ორივე მთა — არმაზი და ზადენი, მტკვარმა გადმოხეთქა და მიჰეონდა ქალაქი, გაისმა საზარელი გოდების ხმა. არაგვი გარდამოხდა ციხეზე და შეიქმნა საზარელი გრგვინვა. ნინოს მოწაფეებს შეეშინდათ ამ ხილვის და გასაქცევად მოემზადნენ, ხოლო ნინო ამშვიდებდა მათ და ეუბნებოდა:

— ნუ გეშინიათ, დანო, მთანი აქვე არიან, წყალნი აქვე დიან და ხალხს ყველას საძინავს. ხოლო ეს, თითქოსდა მთები რომ დაიძრნენ, მართალი ჩვენებაა, რამეთუ ურნწმუნოების მთანი დაირღვნენ ქართლში, ხოლო წყალი რომ დადგა, კერპებისადმი შენირული ყრმების სისხლი შეწყდა. ხოლო ცემის ხმა, ეშმაკთა სიმრავლეა, რამეთუ იგლოვენ თავსა თვისისა, რომელნიც ქრისტეს ჯვრის ძალით გაიქცნენ ამ ადგილებიდან. ჩვენ კი ვილოცოთ ღმერთის მიმართ.

უმალ ირგვლივ ყველაფერი დაწყნარდა. ნინომ მოწაფეებთან ერთად მხურვალე ლოცვა დაიწყო.

გამთენისას ზეციდან ჩამოვიდა ნათლით შემოსილი ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. გაბრწყინებული სვეტი ჰაერში თორმეტი წყრთის სიმაღლეზე აინია, მერე ნელ-ნელა დაეშვა თავის საძირკველზე და გაჩერდა.

შიშითა და სიხარულით აღივსო მცხეთა. მეფე მირიანი მადლობდა უფალს, რომ კიდევ ერთი სასწაულის მომსწრე გახადა.

მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანისსაცემად. პირველად მოვიდა ერთი ებრაელი, შობიდან ბრმა. მიეახლა სვეტს და მაშინვე აეხილა თვალი. მეორედ საწოლით რვა წლის ყრმა სეფერული მოიყვანეს. ყრმის დედამ დაიჩოქა ნინოს წინაშე და შეჰვალადა:

— მოხედე, დედოფალო, სიკვდილს მიახლოებულ ამ ჩემს ძეს, რამეთუ ვიცი, ღმერთი ღმერთთა ის არის, რომელსაც შენ ემსახურები და ჩვენ გვიქადაგებ.

ნინომ შეახო ხელი სვეტს, დაადო ყრმას და თქვა:

— გრამდეს იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, ყველა კაცის სიცოცხლისათვის, ამ ქვეყნად ხორციელად მოსული, განიკურნე ამიერიდან და ადიდებდე მას, ვისმა ძალამაც განგკურნა.

ყრმა უცებ განიკურნა. უამრავი სხეული მიაწყდა წმიდა სვეტს, ბრძებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილნი აღსდგებოდნენ.

მეფემ სვეტისთვის საბურველი შექმნა, ხოლო სასახლის ბაღში ეკლესის მშენებლობა მაშინვე დაიწყო და მალევე გაასრულა.

ამასობაში კონსტანტინეპოლიდან დაბრუნდნენ მოციქულები. მათ ჩამოყვნენ იოვანე ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები. კონსტანტინე დიდმა, ქრისტეს რჯულს შემდგარ მეფე მირიანს და ქართველ ერს, გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, კვარცხლბეკი და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელ იღო მეფემ, დედოფალმა, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა.

\*\*\*

ქართლში დიდი ზეიმი იყო. ქართველთა ყოფაში იწყებოდა ახალი დროება, დროება აღმავლობისა. როგორც იქნა სამეფო კარი, ერი და ბერი გაერთიანდა ჭეშმარიტი სარწმუნოების ქვეშ. ზეიმი იყო მიწაზეც და ზეცაშიც.

მირიან მეფემ, დაესასწაულთან დაკავშირებით, მიღება გამართა სამეფო კარზე. რა თქმა უნდა, მიწვეული იყო ნინოც, რომელმაც მეფესთან და დედოფალთან განმარტოებით შეხვედრა ისურვა. მეფე-დედოფალი საკვირველმოქმედ ქალწულს გაბრნებული თვალებით შესცეკროდნენ. ნინომ მოკრძალებით მოახსენა მეფეს:

— მეფევ ბატონო, თქვენი გამჭრიახი გონების მეშვეობით შეიცანით ჭეშმარიტება. ქრისტეს საყვარელი მონაფე იოანე მახარე-

ბელი გვასწავლის: „შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლოთ თქვენ.“ ახლა კი დროა, რომ მთელი თქვენი სამეფო გათავისუფლდეს ეშმაკის მიერ თავსმოხვეული რჯულისაგან, რომელიც საბოლოოდ დაღუპავს თქვენს სამეფოს.

მეფე წამოდგა ტახტიდან. ზეცისკენ აღაძყრო ხელნი და წარმოთქვა:

— კურთხეულ ხარ შენ, უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ თავიდანვე გინდოდა ჩვენი ხსნა ეშმაკისაგან და მისი ბინელი ადგილისაგან, ამისთვის შენი წმიდა სამოსელი წარმოეც წმიდა ქალაქ იერუსალიმიდგან, შენი ღვთაების არმცოდნე ებრაელებისაგან და მოგვეც ჩვენ, უცხო ერს.

ცრემლმდინარე და მადლით აღსავსე მეფე ტახტზე დაბრძანდა, თავისი გრძელი მარჯვენა თავზე დაადო ნინოს და უთხრა:

— შვილო ნინო, შენ ხარ მოციქული ქრისტესი მოვლინებული ჩვენს ქვეყანა ქართლში. მსურს, რომ ქრისტეს მიერ შენზედ ღვთიური ძალით გადმოსული სარწმუნოება გაავრცელო ჩემს მთავრები, სადაც ხალხი, მათ მიერვე მომრავლებულ კერპებს სცემენ თაყვანს. აგრეთვე მოაქციო კაწარეთს იქით მცხოვრები კუხელები, რომლებიც სოფელ ბოდში თავმოყრილი ქურუმების მცდარ სარწმუნოებას არიან შემდგარი.

— მეფევ ბატონო, — წარმოთქვა ნინომ და დაიჩოქა ღვთივაურთხეული მეფის წინაშე.

— წუ იყოფინ! — შესძახა მეფემ, წამოაყენა ნინო და სელზე დაბრძანება სთხოვა.

ნინო დაბრძანდა სელზე და გააგრძელა დაწყებული საუბარი:

— მეფევ ბატონო, დიდი მადლობა, რომ ინებეთ და მე ცოდვილს დამაკისრეთ ამ საქმის შესრულება. მე არ დავიშურებ ჩემს შესაძლებლობებს, რომ დედა ღვთისას შემწეობით, ქრისტეს რჯულზე მოვაქციო საზეპურო ერი ქართლისა.

მეფემ და დედოფალმა დასტურის ნიშნად თავი დახარეს. მეფემ იხმო მესტუმრეთუხუცესი და უბრძანა:

— ეპისკოპოს იოვანეს სთხოვეთ, მობრძანდეს და მეახლოს არაგვის ხეობის ერისთავი ფარსმან!



მცირე დროის შემდეგ, ეპიკოპოსი იოვანე და არაგვის ერი-სთავი ფარსმან მეფის წინაშე იდგნენ თავდახრილნი და ბრძანებას ელოდნენ. მეფემ მათ დაბრძანება სთხოვა და მიმართა:

— მაღალი ღმერთის, მისი ძისა და სული წმიდის სახელით, ჩვენ უნდა განვანათლოთ ჩვენი ერი და მოვაქციოთ ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. მნებავს, დავუმონოთ ისინი ღვთის ძეს და ვათაყვანოთ პატიოსან ჯვარს, თუნდაც საამისოდ ძალის გამოყენება გახდეს საჭირო.

ეპისკოპოსმა იოვანემ მოკრძალებით შეხედა მეფეს და მორიდებით შეჰქადრა:

— მეფე, მაპატიეთ კადნიერებისათვის, მაგრამ, როგორც ღვთის მსახური, ვალდებული ვარ მოგახსენოთ, რომ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღება, არამედ სახარებით და პატიოსანი ჯვრით ვუჩენოთ ჭეშმარიტი გზა, მიმყანი საუკუნო ცხოვრებასთან. ღვთის მადლმა განანათლოს სიბნელე მათ გულებში.

— ეპისკოპოსო იოვანე! — წარმოთქვა მეფე მირიანმა, — მახვილით მოქცევაზე მე ჩემი კეთილი ნება გამოვხატე და თუ ეს აუცილებელი გახდება, ჩათვალეთ, რომ ჩემგან ასეთი ქმედება ნებადართულია, ხოლო ადგილზე გადაწყვეტილება ნინოსთან ერთად მიიღეთ!

— გასაგებია, მეფე.

— გმადლობ, მეფე.

ნინო, ეპისკოპოსი იოვანე, ერისთავი ფარსმან, ამალით და მცირე რაზმით მცხეთიდან არაგვის ხეობისკენ გაემგზავრნენ, ხოლო მეფის ბრძანებით, ქრისტიანობაში განმტკიცებულმა ხუროებმა, ქალაქის ზღუდის გარეთ, ნინოს სამყოფელ მაყვლოვანში, ეკლესიის მშენებლობა დაიწყეს.

ქართლის მთიანეთში მეფის მიერ წარგზავნილი ამალა, ნინოს და ეპისკოპოს იოვანეს მეთაურობით, შეჩერდნენ წობენს და იქ მოუხმეს ჭართალელების, ფხოველების, წილკნელების და გუდამაყრელების თავკაცებს. ნინომ და ეპისკოპოსმა მთიელებს უქადაგეს წმიდა სახარება, მოუთხრეს მათ ჯვარცმული იესოს

შესახებ და მოუწოდეს თავიანთი ხალხი მოექციათ ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

— ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით, ვაკურთხებთ მდინარე არაგვს და ხალხს მოვნათლავთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, — უთხრა ნინომ მთიელებს, — და ამის შემდეგ თქვენ და თქვენი ოჯახები დაცულნი იქნებით ჭეშმარიტი ღმერთისაგან.

ხალხი დუმდა. ბოლოს, გაურკვეველი ნადირის ქურქში ჩაცმული ახმახი მამაკაცი გამოეყო კრებულს და ხმამალლა, თითქმის ყვირილით განაცხადა:

— გუდამაყრელებს, ჩონ ჩონი ღმერთები გყოვს! ისინი გვი-ავენ, არ გვინდა თქონი ღმერთი!

— არ გვინდა! — ერთხმად შესძახა ხალხმა, თითქოს წინას-წარ იყვნენ მოლაპარაკებულნი.

— გვისმინეთ, შვილებო. — მოკრძალებით წარმოთქვა იო-ვანე ეპისკოპოსმა.

— ჩონ არ ვართ შენი შვილები! ჩონ ჩონი მამის შვილები ვართ!

— აყვირდა ხალხი, — წადით! დაგვანებეთ თავი! წადით! წადით! წადით!....

ერისთავმა ხელი ასწია, რითაც ანიშნა ხალხს, რომ გაჩუმებულიყვნენ. მაგრამ მოხდა პირიქით და ისინი უკვე ჯიქურ მიინევდენ სტუმრებისკენ. ერისთავი ფარსმან იძულებული გახდა შეეს-რულებინა მეფის ბრძანება და მახვილით „ესაუბრა“ ხალხთან. ამან შედეგი გამოიღო. ნინოსთან და ეპისკოპოსთან შეთანხ-მებით, შემუსრეს მათი კერპები და მთიელთა მცირე ნაწილიც მონათლეს. ხოლო ხალხის უმრავლესობამ უარი თქვა ნათლობა-ზე. ფხოველებმა თავისი ქვეყანაც კი დატოვეს და გადავიდნენ თუშეთში.

მთიელთა ასეთმა ქცევამ მირიან მეფის განრისხება გამოიწვია. მეფემ დაუმძიმა მათ ხარკი და ამით მოსაფიქრებელი დრო მისცა.

ნინომ და ეპისკოპოსმა იოვანემ დატოვეს არაგვის ხეობა, გადავიდნენ ივრის ხეობაში, შეჩერდნენ უალეთში და სახარება უქადაგეს ერნო – თიანელებს. მათ ნათელ იღეს და მოექცნენ ქრისტეს რჯულზე.

\*\*\*

ნინოს უჯარმის სასახლეში დახვდნენ უფლისწული რევი და მისი მეუღლე სალომე, თრდატ სომეხთა მეფის ასული. მდინარე ივრის პირას, მაღალ ბორცვზე იდგა სასახლე. კოშკიდან ხელის გულივით ჩანდა კუხეთის სანახები. ენით აუწერელი სილამაზე გადამლილიყო ირგვლივ. მრავლისმნახველი ივრის ლრიალი არღვევდა დაბურული ტყით შემოსილი მთების მდუმარებას. ნინო, იოვანე ეპისკოპოსი და მათი თანმხლები პირები სასახლის დარბაზონში მიიწვიეს. შეკრებილმა დიდებულებმა, როგორც კი იხილეს ნინო, მოწინებით დახარეს თავები და თაყვანი სცეს ზეციურ დედოფალს. რევმა და სალომემ ნინო სამეფო ტრაპეზზე მიიპატიჟეს. ნინო მოკრძალებით მიუახლოვდა ტრაპეზს, აღავლინა ლოცვა უფლისადმი და მადლობდა იქსო ქრისტეს მოწოდებული საზრდელისათვის. შემდეგ ცველანი შემოუსხდნენ სუფრას. უფლისწულის სასახლის მესვეურებს განსაკუთრებით ეზრუნათ სანოვაგისთვის. პურ-ლვინო მრავლად და მრავალ-ფეროვნად იყო ტრაპეზზე. ნინომ მცირედი პური და ლვინო მიირთვა, კიდევ ერთხელ ისაუბრა ქრისტეს სარწმუნოებაზე, შემდეგ უფლისწულს, მის მეუღლეს სალომეს და დიდებულებს სთხოვა მიეტევებინათ, რამეთუ სალოცავად უნდა გასული-ყო გარეთ. ნინო სალომემ და ახლად გაცნობილმა პეროჟავრი სივნიელმა გააცილეს.

ნინო სასახლის ეზოში მდებარე სამლოცველოსთან დაბრძანებულ ჯვარს მიუახლოვდა, თაყვანი სცა და უთხრა სალომეს:

— ეს სასწაულმოქმედი ჯვარი ბევრ სიკეთეს მოუტანს თქვენს ქვეყანას.

— დიახ, ნინო. ვარსკვლავი კვლავ ადგება ხოლმე თავზე. განსხვავებული, კაშკაშა მნათობია, როგორც მცხეთასა და თხოთის მთაზეა.

— ამ ჯვრის დაბრძანება მინდოდა დაბა ბოდს, რადგან ასე იხილეს როგორც კუხელებმა, ისე კახელებმა. მაგრამ, ვინაიდან ბოდმი არის ერის სიმრავლე მწვალებლებისა, იქ მე თვითონ უნდა წავიდე, რათა უფალ იქსო ქრისტეს შეწევნით, დავამსხვრიო მათი კერპები და დაბა ბოდი გავხადო ლვთის სათნო ადგილი.

ნინომ დაიჩოქა სასწაულმოქმედი ჯვრის წინაშე და აღავლინა ლოცვა უფლისადმი. მასთან ერთად მხურვალედ ლოცულობდენენ სალომე და პეროჟავრი. ლოცვის შემდეგ ნინომ განმარტოება ითხოვა, ჩავიდა ივრის პირას, ჩამოვდა ხის სელზე და მდინარის აზვირთებულ ტალღებს მიაპყრო მზერა. მას წინ დიდი და როტული გზა ელოდა. დაბა ბოდში უნდა აღეკვეთა მთვარის ლვთაებისთვის ჩვილი ბავშვების შენირვა. მან კარგად იცოდა, რომ ქურუმები დიდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, ამიტომ მხურვალედ ევედრებოდა უფალს, რომ შესწეოდა მას ამ საქმეში.

უცებ წინოს რაღაც სასიამოვნო ხმა ჩაესმა. მიიხედა მარჯვნივ, იქვე მდინარის პირას, ნადირის ქურქში გამოწყობილი მონადირე იდგა, დასცექროდა მდინარეს და ხმამალლა, ალფროვანებით გაიძახოდა:

ვეთაყვანები, ლექსს ვუძღვნი,  
იორს, მის წარმტაც ჭალებსა,  
მნახველი ვერ გაექცევა,  
მის მოციმციმე თვალებსა.  
მორბის და მოიკლაკნება,  
მოატყლაშუნებს ტალღებსა,  
სადაც კი კლდეებს მისწვდება,  
შეუნგრევს გულის კარებსა.  
ჭკვიანებს მოეფერება,  
ბრიყვებს კი გაამნარებსა,  
თიანეთს ჩაძინებული  
უჯარმას დაამთქნარებსა.  
სიცოცხლის შხეფებს მიაღვრის,  
ლაბაზ კუსეთის ველებსა.  
აი, რად მიყვარს იორი,  
აი, რადა ვხვევ ხელებსა.  
მის წაუურს დავენაფები,  
არასდროს დამახველებსა.  
ივრის ალერსით დამთვრალი  
ზეცისკ ავაპყრობ ხელებსა,  
მადლობას ვეტყვი ანატორს და  
მის გვერდით მყოფ მხლებლებსა.



მონადირემ დაამთავრა ლექსის თქმა, შემოტრიალდა და სახტად დარჩა. მის წინ იდგა ქალი, რომელიც მთლიანად არაამქეყნიური ნათლით იყო გაბრნყინებული.

— დალი! — შესძახა მონადირემ, დავარდა მუხლებზე და სახე მიწას დაახალა, — ნუ დამსჯი, ქალლმერთო, ბევრი ნადირის დახოცვისათვის! მონადირე ვარ და რა ვქნა!?

— დალი არ ვარ, — უპასუხა ნინომ, — ტყვე ქალი ვარ, უფლისგან მოვლენილი თქვენს ქვეყანაში. ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც თქვენ.

— მეჩვენების! არა ... არ მეჩვენების! — დაიბნა მონადირე.

— ადექი, დევკაცო! მე არას გერჩი. ის მაინც თქვი საიდან ხარ? — ჰკითხა ნინომ.

— ფხოველი ვარ, ანატორიდან, თორლვაი მქვია!

— ფხოვი, ანატორი სად არის? ან აქ რა გინდა?

— ფხოვ — ანატორი შორს არს აქედან, მაღალ მთებჩია, ნა-დირთა საუფლოჩი. მე ბარჩი ვიყავ და უკან მივალ.

— ანატორი, ანატორი ... — თავისთვის თქვა ნინომ, მერე მოუ-ბრუნდა მონადირეს და უთხრა, — ანატორი თქვენი კერპია ხომ?

— კერპი არ ვიცი! ანატორი ღმერთია! — ამაყად უპასუხა მონადირემ, — იმის გარეშე ჩვენში არაფერი ხდება. გვეშინის ანატორის!

ნინომ კიდევ ერთხელ გაიხსენა მთიულეთში მგზავრობა, მთის ხალხის გაქრისტიანების მიზნით. იგი დარწმუნდა, რომ მათში იმდენად იყო გამჯდარი კერპთაყვანისცემა, რომ მათ მოქცევას დიდი დრო სჭირდებოდა. ჯერ ბარის მოსახლეობაში უნდა დამკვიდრებულიყო ჭეშმარიტი ღმერთი და მერე იქნებოდა შესაძლებელი, რომ მთა გაქრისტიანებულიყო. უყურებდა თორლვა ანატორელს, ამ დევივით ვაჟკაცს და ხვდებოდა, რომ ამ სუთა სულის მატარებელ ადამიანში ღვთაება ანატორი იმ-დენად დამკვიდრებულიყო, რომ ნადირთა ქალლმერთის წარმ-ართული კერპის, დალის, ადგილიც კი არ იყო დარჩენილი, რაც ქალის დანახვაზე თორლვას განცდებში გამოიხატა. ნინო მიუბრუნდა თორლვას და უთხრა:

— წადი, ანატორელო, შენი გზით, გფარავდეს უფალი. მე შენს სამშობლოს არ ვიცნობ, თუმცა ვგრძნობ, რომ ქვეყნისა და ხალხის ერთგულნი ხართ.

— ჩემი სამშობლო სალი კლდეებია, ტყვე ქალავ! იქაურობას არაფერი სჯობს. ვინც კი იხილავს ანატორს, ჩემსავით ამ-ღერდება:

ვერ დაუშლიან მთის არწივს  
ცის კამარაზე ფრენასა,  
ამაყსა, გულით ზვიადსა,  
ციდან მეფურად ცქერასა.  
ვერც პანაწინა ტოროლას,  
დილის რიურაჟზე მღერასა,  
მთის თხემზე შემდგარ ხარ-ჯიხვსა,  
სალი კლდეების ცქერასა,  
კალმახს, არაგვის მბრძანებელს,  
სიპი ლოდებზე ცეკვასა,  
შურთხსა რიურაჟის მქოთებელს,  
ჭიუხში ზარის რეკვასა...

ანატორელმა მშვილდ-ისარი მოირგო სხეულზე, ხურჯინიც გადაიკიდა, დაემშვიდობა ნინოს და აუყვა ივრის ხეობას.

დილით უფლისწული რევი, სალომე უჯარმელი, იოვანე ეპის-კოპოსი, პეროუავრი სივნიელი, ივრის ხეობის ერისთავი ფარ-ნავაზ და არაგვის ხეობის ერისთავი ფარსმან, ამალითურთ და-იძრნენ დაბა ბოდის მიმართულებით. კანარეთიდან გადასვლას, ისევ ივრის ხეობით წასვლა ამჯობინეს. ამინდიც დიდებული შეხვდათ. ამნვანებულ, მზის სხივებით გაბრწყინებულ მთებსა და მდინარის სიახლოვეს სიარულს არაფერი სჯობდა.

ნაშუადღევს სათის ჭალაში ჩამოხდნენ. აქედან ხეობის მარცხ-ნივ უნდა გაეგრძელებინათ გზა, ამიტომ უფლისწულმა რევიმ შესვენება ბრძანა. ნინო, სალომესთან და პეროუავრთან ერთად განმარტოვდა. ივრისპირა ჭალაში სურნელოვანი ჰაერი ტრი-ალებდა და მგზავრებიც ხარბად სუნთქავდნენ მას. უცებ ნინოს

ყურადღება მიიქცია ჭალაში მიმოფანტულმა შავი ფერის ქვებმა. ერთი პატარა ქვა აიღო ხელში, ყვავილების მტვერი მოწმინდა და გაოცდა. ქვა მის ხელში ბრნყინავდა. ნინომ სალომეს ჰკითხა:

- რა ქვა არის ეს?
- ეს სათის ქვაა. — უპასუხა უჯარმელმა.
- როგორც ჩანს, ძვირფასი ქვა უნდა იყოს?
- დიახ, ნინო, ამ ქვის ნაკეთობანი კარგად იყიდება სპარსეთში, სომხეთში და ზღვის იქით ქვეყნებში.
- სათი, ხომ? — გაიმეორა ნინომ, — ამიტომაც დაარქვეს ამ ადგილს სათის ჭალა?
- დიახ. ძალიან კარგი და კეთილპაეროვანი ადგილებია აქ, მინდორ-ველები ხომ საუკეთესო. მდინარე ივრის წყალობით, იფქლის დიდი მოსავალი მოჰყავთ. თითქმის მთელი კუხეთი, კახეთი და ქართლის დიდი ნაწილი აქედან მარაგდება იფქლით.
- რა მდიდარი მხარე ყოფილა. და ეს ხალხი, რომელიც ამ სიმდიდრეს ქმნის, ქურუმთა ხელშია?
- ასეა, ნინო, — განსაკუთრებით მათი შევიწროვება მოსავლის აღების წინ ხდება, როდესაც ქურუმები ითხოვენ ტაძრისთვის ჩვილი ბავშვების შენირვას.
- ეს რა საშინელება! — ნამოიძახა ნინომ და ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან.
- არ ვიცი, რა გითხრა, — გააგრძელა საუბარი ცრემლმორეულმა სალომემ, — მეფე მირიანს მხსნელად მოევლინე ნამდვილად. შენთვის არ უთქვამს, მაგრამ ჩვენ გაგვანდო, რომ ამ საშინელებას მხოლოდ ნინო თუ მოაშორებს ჩვენს ხალხს და ქვეყანასო. სოჯთა ერისთავნი ქურუმების მხარეს დგანან. მათი მოთოვა კი მხოლოდ სოჯთა დედოფალს შეუძლია.

ნინომ ზეცას შეხედა და თქვა:

- უფალი დიდია, გამოგვიწვდის დახმარების ხელს.
- შებინდებისას უფლისწული რევის და ნინოს ამაღლა დაბა ბოდში შევიდა. მათ მხლებლებითურთ დახვდნენ სოჯის დედოფალი და ბოდის მთვარის ღვთაების ტაძრის მთავარი ქურუმი აღსართანი.
- გამთენისას იწყებოდა მთვარის ღვთაების დღესასწაული.

ნინო თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად განმარტოვდა და უფლისადმი ლოცვა აღავლინა. გვიან ღამემდე ლოცულობდნენ მხევალნი. შემდეგ მცირე ხნით მოსასვენებლად გავიდნენ. ნინოს თვალს რული არ ეკარებოდა. უცებ სარკმლიდან ნათელი შემოიჭრა და მისი სენაკი მთლიანად გაანათა. ნინო მიხვდა, რომ ეს გამოცხადება იყო, მაგრამ ვინ იდგა მის ნინ უხილავი, ამას ვერ არჩევდა. ამასობაში ნათელმა ადამიანის იერსახე მიიღო და ალაპარაკდა:

- ნინო, მე ვარ.
- ვინ შენ? ვერ გიცანი. — შიშნარევი ხმით წარმოთქვა ნინომ.
- გიორგი. შენი ბიძაშვილი.
- გიორგი, შეენ!? აქ რა გინდა?

— შენს დასახმარებლად მოვედი. ეს ტაძარი მიწასთან უნდა გაასწორო. სხვანაირად ამ ქვეყანას ვერ გააქრისტიანებ. ვარსკვლავი ამ დაბას დაადგა თავზე და ჯვარი პატიოსანიც აქ უნდა დაპრძანებულიყო, თუმცა შენ უჯარმა არჩიე.

— გიორგი, აქ ჯვარპატიოსანის დაპრძანების საშუალებას არ მომცემდნენ.

— ამას უფალი შეგაძლებინებდა. ახლა დიდი ბრძოლა დაგჭირდება ამათი დამარცხებისათვის. ჩვილთა შენირვას იწყებენ მაშინ, როდესაც მარიამ ღვთისმშობლის მიცვალების დღე თენდება. ეს ღმერთის ნინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებაა.

- რა უნდა გავაკეთო, გიორგი? — იკითხა ნინომ.
- შენ ამ ბნელ ხალს უფლის შეწევნით დაამარცხებ და ეს შეიძლება სიცოცხლის ფასადაც დაგიჯდეს. მაგრამ აქედან მიცვალების შემდეგაც არ უნდა წახვიდე, რამეთუ ქურუმები კვლავ ეცდებიან ტაძრის აღდგენას. მეც შენთან ვიქნები. ჩემი თვალნი, უფლი ნებით, აქ დაიფლება და დაბეჭსაც თვალნი და გიორგი დაერქმევა სახელად. ასე რომ, ყველაფერს დავინახავ და ვერ გაბედავენ აქ სიბნელის დაპრუნებას. შენი წიაღიდან პირველი ქართველი ბერი გამოვა, რომელიც უდაბნოში ბერმონაზვნურ ცხოვრებას დაუდებს სათავეს. ბევრი რამ არის შენზე დამოკიდებული. შენ უნდა გახდე ქართველი ერის განმანათლებელი, ხოლო მე, ღმერთის ნებით, ერის მფარველობა მიბოძ-



ეს. ჩვენ უნდა განვახორციელოთ საზეპურო ერის სიბნელიდან გამოყვანა. მე შენთან ვარ მარადის, გფარავდეს უფალი.

გამოცხადებისაგან სახტად დარჩენილმა ნინომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა შეძლო:

— ასეთი დიდი საქმის აღსრულება ვით შემიძლია მე ცოდვილს.

მთვარე მთელი თავისი სიკაშვაშით ანათებდა არემარეს. სავსემთვარეობა ახალი დაწყებული იყო.

\*\*\*

დაბა ბოდში დილით ადრე გაისმა საყვირთა ხმა, გაიღო ტაძრის გალავნის კარი და სხვადასხვა ქალაქებიდან და დაბებიდან ჩამოსული ხალხით გაიგვი ეზო. ქურუმებს მრავალ ადგილას ჰქონდათ დანთებული ცეცხლი, მათ შორის ტაძრის შიგნითაც. ხელაპყრობილი იდგნენ და შეკლალადებდნენ სავსე მთვარეს, რომელსაც დღის ნათელი ნელ-ნელა ელვარებას უკარგავდა. იდგა მეთოთხმეტე დღე ქველთობის თვისა. ღამით იწყებოდა დღესასწაული მთვარე – გიორგის ღვთაებისა.

ტაძრის ეზოში შემოსულმა ხალხმა სახელდახელოდ გაშალეს სუფრები და დილიდანვე შეუდგნენ ღრეობას. ცოტა რომ მოდღევდა, მოასპარეზენიც გამოჩნდნენ. ეზოში და მის გალავანს გარეთ დაიწყო ორთაბრძოლები რკინებაში. მორკინალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მაჯურაში, ცალხელაში და მკერდაობაში. ისინი უხვად იყენებდნენ ტრადიციულ ქართულ ილეთებს: ცერულებს, ნამგალებს, მოცელვებს, ფეხბაბიჯებას, შუა ფეხს, ჩახვეულებს, სარმებს, კისრულებს, მხარჩადგმულებს, წინდაქაჩივას, მაჯის გატეხვას, მკლავჩატეხას და სხვას. მოკრივები ტაძრის დასავლეთით ჩხუბობდნენ, ხოლო ჯამბაზებისათვის ტაძრის გალავანს გარეთ მიეჩინათ ადგილი. ამ უკანასკნელთ მაყურებელი ბევრი ჰყავდა. სანახაობას ამშვენებდა ქართული როკვა და სიმღერა.

ნინო გაოგნებული უყურებდა სანახაობას და ეცოდებოდა ეს ხალხი, რომელიც თავის თავს, თავისივე ნებით ჯოჯოხეთისთვის ამზადებდა. მთებისკენ გაიხედა. ჩრდილოეთით, მწვანედ შე-

მოსილი მთის იქით, კუპრივით შავი და დაჭმუჭნული ღრუბელი მომდგარიყო. იგი ნელ-ნელა იზრდებოდა და ბოლოს სატანის სახეს დაემსგავსა. მისი მზერა ნინოსკენ იყო მიმართული. ქალ-წული მიხვდა, რომ ეშმაკი მის შესამუსრად ემზადებოდა, უმალ შებრუნდა აღმოსავლეთისაკენ და წარმოთქვა:

— უფალოიესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.

ლოცვის წარმოთქმას თითქოს სული ამოაყოლაო. ის ახლა მხოლოდ უფალზე იყო მინდობილი. კვლავ გაიხედა მთებისკენ და რას ხედავს — ციდან ხმალშემართული მიქაელ მთავარანგელოზი დაეშვა და ცეცხლოვანი მახვილით უკან გასწია სატანა, რომელიც მალევე გაქრა თვალთახედვიდან. შემდეგ მობრუნდა შემკრთალი ქალწულისკენ და უთხრა:

— ნინო, შენ ღმერთის რჩეული ხარ. ეს, რომელიც ახლა მოგაშორე, იყო ამათი მთავარი, რომელიც ჩაყლაპვას გიპირებდა. თან ამას მხოლოდ შენ ხედავდი, სხვებისთვის ეს ხილვა დაფარულია. ნუ გეშინია. ჩვენ შენთან ვართ. შენ გააკეთე ის, რაც დაგევალა ღმერთისგან. უკან არ დაიხიო.

მირიან მეფის მალემსრბოლელი მოიქრა ბოდს. რევი უფლისწულს იბარებდა მეფე სასწრაფოდ. უფლისწული ამალით უმალ გაემგზავრა მცხეთას. სალომე უჯარმელი და პეროუავრი სივნიელი ნინოსთან დარჩნენ. სოჯის დედოფალიც მალე გაბრუნდა თავის სამეფო რეზიდენციაში.

საღამოს ტაძრის ქურუმებმა შეკრიბეს ხალხი და განუცხადეს, რომ შუალამეს დაიწყებოდა მსხვრპლთშენირვა მთვარი-სადმი და მოემზადებინათ ჩვილი ბავშვები.

ნინო ცრემლმორეული ევედრებოდა უფალს, არ დაეშვა ეს საშინელება. ტაძრის ეზოში ისმოდა საშინელი ხმები მთვრალი ხალხისა, რომელნიც უკვე ცხოველთა დონეზე იყვნენ დაცემულნი და მათთვის ჩვილი ბავშვების შენირვის რიტუალი უფრო გართობა იქნებოდა, ვიდრე მწუხარება.

ნინომ ვერ გაუძლო ამ საშინელებას და ტაძრის ეზოდან გავიდა. როგორც კი გალავანს გასცდა, ქალის კვნესა მოესმა, რომელსაც ჩვილი ბავშვი მკერდზე მიეკრა, ძუძუს აწოვებდა და თან

ცრემლით ასველებდა ჩვილის სხეულს. კაცი კი ნერვიულობისა-გან აქეთ-იქით დადიოდა და გოდებდა:

წყალი დუღს და წყალი შრება,  
საკლავს პირი არ უჩნდება,  
რა ვქნა? შვილი როგორ დავკლა?  
არ დავკლა და არ იქნება.

— ვინ ხარ შენ? — ჰკითხა ნინომ კაცს, რომელსაც ნერვიულობისაგან სახეზე ფერი აღარ ედო.

— მე ბარბალი ვარ, მზის ღმერთის თაყვანისმცემელი.

— ბავშვს რატომ იმეტებ სასიკვდილოდ!? ის ხომ ღმერთის ქმნილებაა!

— რა ვქნა!? მეც მაგას არ ვამბობ!? — ძლივს ლაპარაკობდა ბარბალი, — ასე მითხრა მთავარმა ქურუმმა: „შენ მზის ღვთაების შვილი ხარ და ქვეყანაზე მშვიდობა რომ იყოს, ამიტომ მთვარის ღვთაებას უნდა შესწირო შენი ახლადდაბადებული ბავშვიო. ისედაც ხუთი შვილი გყავს და ერთის არყოლა არაფერს დაგაკლებსო.“

— კი, მაგრამ მაგის გადასაწყვეტია შენი შვილის სიკვდილი? — ჰკითხა ნინომ ბარბალს.

— „თუ არადა, მოგისევ მხედრობას და ოჯახიანად ამოგწყიტავო.“ — უპასუხა კაცმა.

— კარგი, დაწყნარდი. შენ არაფერი მოიმოქმედო. იყავი ღმერთის იმედად. — დაწყნარა ბარბალი ნინომ.

სალომემ და პეროვავრიმ, როგორც იქნა, იპოვეს ნინო.

— რამდენი ხანია გეძებთ, ნინო. — თქვა სალომემ.

— წავიდეთ ჩქარა. ვილოცოთ, რომ როგორმე უბედურება ავაცილოთ ამ ხალხს.

მხევალნი სენაკში განმარტოვდნენ. ნინომ ლოცვა დაიწყო.

— გიორგი ძმაო, ძლევამოსილო მხედარო, მიშველე. გვიშუა-მდგომლე უფალთან და ღვთისმშობელთან, რათა პირისაგან მინისა აღგავოს ეს ტაძარი თავისი ქურუმებით.

— გიორგი ვინ არის, ნინო? — იკითხა სალომე უჯარმელმა.

— გიორგი ქრისტიანობისთვის მებრძოლი რაინდი იყო, რო-  
მელიც უგუნურმა და ქრისტიანების მდევნელმა იმპერატორმა  
დიოკლეტიანემ, ჯერ ბორბალზე აწამა და რომ ვერ მოკლა ვე-  
რანაირი ტანჯვით, თავი მოკვეთა. ის წმიდანთა ზეციურ დასში  
ერთ — ერთი დიდმოწამეა და ჩვენი მეოხია.

— დიდება უფალს! — ყველამ ერთად წარმოთქვეს და მუხლმ-  
ოდრეკილებმა უფლის მიმართ დაიწყეს ლოცვა.

შუალამე ჯერ არ დამდგარიყო, რომ დაბა ბოდს ციდან კაშკა-  
შა ვარსკვლავი დაადგა თავზე, რომელმაც სავსე მთვარის ნათე-  
ბა დაჩრდილა, თუმცა ამისთვის, ღრეობით გაბრუებულ ხალხს,  
ყურადღება არ მიუქცევია.

როგორც კი შუალამე დადგა, ბოდის მთვარის ღვთაების  
ტაძრის მთავარი ქურუმი აღსართანი, თავისი მხლებლებით გა-  
მოვიდა ტაძრიდან, დადგა მისთვის წინასწარ მომზადებულ, ამ-  
აღლებულ ფიცარნაგზე, ასწია მარჯვენა ხელი და ამით ხალხს  
ყურადღებისაკენ მოუწოდა. ქურუმებისაგან დაშინებული ბრბო  
უცბად დაწყნარდა. ყველანი დაიძრნენ იმ ადგილისაკენ, სად-  
აც ტაძრის მთავარი ქურუმი იდგა ზეანეული მარჯვენა ხელით.  
სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, მხოლოდ ანთებული ცე-  
ცხლი გამოსცემდა იდუმალ ხმებს და ისიც მალევე ინთქმებოდა  
მთვარით განათებულ სივრცეში.

— ხალხო ბოდელნო და ბოდის სტუმრებო! — დაიწყო  
ხმამაღლა ლაპარაკი მთავარმა ქურუმმა, — მშვიდობა მინ-  
და გისურვოთ ყველას. ამ ლაპაზი სიტყვის დამამკვიდრებელი,  
რომელსაც ჩვენ ერთმანეთს ყოველდღიურად ვეუბნებით, არის  
ჩვენი დიდი მამა, მეფე ქართლისა ფარნავაზი. მშვიდობა შვიდი  
სამთავროს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას ნიშნავს, რამაც  
ხალხს შვება და კეთილდღეობა მოუტანა. ქვეყნის სიმბოლოდ  
ფარნავაზმა შვიდბჭალიანი ბორჯლალი დაგვიტოვა, რაც მზის  
ღმერთის — ბარბალის გამომხატველია. მაგრამ მზის ღმერთი  
მხოლოდ დღისით აკეთებს საქმეს, ხოლო ღამე კი ჩვენი ქვეყნის  
თავზე მხოლოდ წყვდიადს მოიცავდა. ჩვენ, მთვარის ღვთაების  
ქურუმებმა შევძელით, რომ ღამეც ისეთივე სიკეთის მატარებე-  
ლი ყოფილიყო, როგორც დღე. შეხედეთ, როგორ ანათებს მთვა-



რე. ეს ყოველივე დამსახურებაა ჩვენს მიერ განხორციელებული შენირულობისა. თუ გინდათ, რომ ადამიანის მოდგმამ დიდხანს იცოცხლოს, არ უნდა შეწყდეს ჩვილთა შენირვა მთვარისათვის. დიდება მთვარეს!

— დიდება მთვარეს! — ერთხმად იღრიალა ბრძომ და დაიწყო დაფდაფების ცემა.

ტაძრის შესასვლელთან ქალთა რიგი დადგა, რომელთაც ხელთ შესაწირი ჩვილი ბავშვები ეჭირათ. იყო ტირილი და კვნესა. ქურუმები მსხვერპლის მისაღებად ტაძარში შევიდნენ, ხოლო ხალხი მათგან, რიტუალის დასაწყებად, ნიშანს ელოდა.

ნინომ ზეცაში მოკაშკაშე ვარსკვლავს ახედა, დაიჩოქა და თავი დახარა. ვარსკვლავიდან თვალისმომჭრელად მოკაშკაშე სვეტი დაეშვა, თითქოს ტაძარს წრე შემოავლო და უცბად მთელი შენობა არაამქევყნიური ცეცხლის ალში გაეხვია. ხალხი ტაძრის გალავანს მიაწყდა და უკანმოუხედავად გარბოდა სხვადასხვა მიმართულებით. მხოლოდ ნინო, თავისი მხლებლებით, გაუნდრევლად იდგა იმავე ადგილას და უყურებდა ცეცხლის ალში გახვეულ მთვარის ღვთაების ტაძარს... თითქოს ცრემლი გაშრობოდა. მისი თვალები მხოლოდ მრისხანებას აფრქვევდა, გულში კი მადლობდა უფალს დახმარებისათვის.

\*\*\*

ირიჟრაჟა. ტაძრის ადგილას ერთი ქვაც კი აღარ იდო. თითქოს იქ ცეცხლი საერთოდ არ ყოფილიყო. ირგვლივ სიმწვანეს მოეცვა ყველაფერი. ქურუმთა ტაძარი თითქოს გამქრალიყო. მხოლოდ ის სენაკი იყო ხელუხლებელი, სადაც ნინო და მისი მხლებლები ლოცულობდნენ.

ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო უკან დაბრუნება, რათა თავისი თვალით ენახა ის სასწაული, რომელიც ღმერთმა მოახდინა ბოდში, ვინმე ტყვე ქალის – ნინოს მეშვეობით.

ნინო ქადაგებდა ქრისტეს სახარებას და მოუწოდებდა ხალხს ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ:

— ხალხო! პავლე მოციქული გვასწავლის: „ნუ შეებმებით უცხო უღელში ურნმუნოებთან ერთად, რადგან რა საერთო აქვს სიმართლეს ურჯულოებასთან? რა აქვს საერთო ნათელს ბნელთან? რა შეთანხმება აქვს ქრისტეს ბელიართან? ან რა წილი აქვს მორნმუნეს ურნმუნოსთან? რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერძებთან? რადგან თქვენ ხართ ცოცხალი ღვთის ტაძარი, როგორც ღმერთმა თქვა: „დავმკვიდრდები და ვივლი მათ შორის, ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ხალხი. ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! ამბობს უფალი: უწმინდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი.“ — ამბობს უფალი ყოვლის მპყრობელი. უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ჩვენი გამოხსნისათვის გაეკრა ჯვარზე, ჩვენთვის გაიღო თავისი სისხლი და ხორცი, ამიტომ არ არის საჭირო სხვა სისხლის და ხორცის შენირვა. უფალმა იესომ დააწესა უსისხლო მსხვერპლთშენირვა, ისეთი, რომელიც იკურთხება ქრისტეს ეკლესიაში. ნაკურთხი პური არის ხორცი ქრისტესი, ხოლო ღვინო — სისხლი. თქვენმა ქვეყანამ, ღმერთის კურთხევით, მსოფლიოს მისცა ღვინო და პური, ანუ სისხლი და ხორცი უფლისა. ამიტომ, დღეის ამას იქით, ამ ადგილას და სრულიად ივერიაში, ღვთისადმი შეინირება მხოლოდ უსისხლო მსხვერპლი, უფლის კურთხევით, მის სისხლად და ხორცად ქცეული ღვინო და პური. ხოლო თქვენი შვილები აღზარდეთ ღმერთისა და სამშობლოს სადიდებლად.

ხალხი სმენად იყო ქცეული. უსმენდნენ ნინოს ქადაგებას და ვერ იჯერებდნენ იმას, რაც ღამით მოხდა. ასეთი ფერიცვალება მათთვის უცხო და უჩვეულო იყო.

— მოგვნათლეთ ქრისტეს სახელით! — გაისმა ხალხში.  
— მოგვნათლეთ! მოგვნათლეთ! — ამ შეძანილს გამოეხმაურა მრავალი ადამიანი.

— მირიან მეფე გამოაგზავნის თქვენთან მღვდლებს და ყველანი მოინათლებით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

— იყავნ! იყავნ! — გაისმა ხალხში.

ნინომ კი გააგრძელა ქადაგება:

— ხალხო! მე აქედან არსად არ წავალ. ჩემთან ერთად იქნება წმიდათა ზეციურ დასში ჩარიცხული დიდმოწამე გიორგი კაბადუკიელი, რომლის წმიდა თავი და თვალი მაღე გადმობრძანდება აქ. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, აქ მოღვაწეობას დაიწყებენ პირველი ქართველი მონაზვნები და მირონმდინარე სვეტის გარე ჯვრად წოდებული ეს არემარე გამშვენდება მონასტრებით და ეკლესიებით და უამრავი სასულიერო პირი იღლოცებს ქვეყნისა და ხალხისათვის. დღეს ბოდის მოსახლეობამ ახალი ცხოვრება დაიწყო. გფარავდეთ უფალი იესო ქრისტე, ყოვლად-ბატიოსანი ჯვარი მისი და დედა ღვთისა, რომლის დავალებითაც მე მოველ თქვენს ქვეყანაში, რომელიც არის წილხვედრი მარიამ ღვთისმშობლისა. მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი თქვენთანა. მე აქ ვრჩები ქვეყნის აღსასრულამდე.

სმენად ქცეული ხალხი დიდხანს არ იძვროდა ადგილიდან. ბოლოს, ყველამ ერთად ასწია ხელები მაღლა და შეჰვალადეს ქალწულს:

— ნინო!... ნინო!... ნინო!... ჩვენო განმანათლებელო! გვიხსენ ბოროტისაგან!

\*\*\*

ნინომ, რომელიც ხალხმა წმიდანად შერაცხა, დაბა ბოდში რამდენიმე დღე დაჲყო. ერის სიმრავლემ ალიარა მისი სწავლა. მოდიოდნენ მასთან კახეთიდან, ჰერეთიდან და ივერიის სხვა კუთხეებიდან. ბოლოს, დასწეულდა ნინო. სასწრაფოდ აფრინეს მაღემსრბოლელნი მცხეთაში მეფე მირიანთან და დედოფალ ნანასთან, უჯარმაში – რევ უფლისწულთან და სალომე უჯარმელთან. მეფემ ეპისკოპოსი იოვანე და მკურნალნი გაგზავნა ბოდში ნინოს წამოსაყვანად, მაგრამ ნინო არ დაემორჩილა. არც უფლისწულის და სალომეს თხოვნამ გაჭრა. მაშინ მეფე მირიანი ეახლა თვითონ ნეტარს, უამრავი ხალხის სიმრავლით.

„ხედავდა ხალხი მის სახეს, როგორც ზეცის ანგელოზის პირს. მის სამოსელს ბოლო ნაწილებს აცლიდნენ, იღებდნენ და სარწმუნოებით ემთხვეოდნენ. გარემო მსხდომ ყველა დედოფალს

თვალთაგან ცრემლი დიოდა მოღვაწე მოძღვრისა და სნეულება-თა ხელოვანი მკურნალის განშორების გამო.“

ნინომ შეხედა მის გარშემო შეკრებილ ხალხს, მეფეს, უფლისნულს, სასულიერო პირებს, დადნაფიც სალომე უჯარ-მელს, პეროჟავრი სივნიელს, ერისთავებს, მთავრებს და ცრემ-ლმორეულმა წარმოთქვა:

— სარწმუნოების ასულნო, ჩემო მახლობელნო დედოფლებო, გხედავთ თქვენ, როგორც იმ პირველ ქრისტიან ქალებს, გნე-ბავთ ჩემი გზის ცნობა, გლახაკი მხევლისა. ახლა გაუწყებთ, რომ მისულია ჩემი სული ჩემს ხორციან და მე მეძინება დედაჩემის ძილით საუკუნოდ, მაგრამ აიღეთ ჩემი საწერლები და დაწერ-ეთ ჩემი გლახაკი და უდები ცხოვრება, რათა იცოდნენ თქვენმა შვილებმა თქვენი სარწმუნოება, ჩემი შეწყნარება, ღვთის სას-წაულები, რომელნიც უხილავთ. მე გავდივარ წუთისოფლიდან, მაგრამ მუდამ თქვენთან ვიქნები. ჩემი გვამი აქვე დაფლეთ, სადაც ღმერთმა სასწაული მოახდინა და შემუსრა წარმართთა ტაძარი, რადგან სახარებაში დაწერილია: „როცა არაწმიდა სული გამოვა ადამიანისგან, დადის უწყლო ადგილებში, ეძებს სიმშ-ვიდეს, მაგრამ ვერ პოულობს. მაშინ ამბობს: დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედიო. მივა და იპოვის მას დაგვილსა და მოვლილს. მაშინ წავა და მოიყვანს შვიდ სხვა სულს, თავისიზე უბოროტესს, შევლენ და დასახლდებიან იქ. და ეს უკანასკნელი პირველზე უარესი იქნება.“ უფალმა დასუფთავებული ჩაგვაბა-რა ეს ადგილი, ამიტომ მე აქ უწმინდურის დაბრუნებას არ და-ვუშვებ, თუნდაც ჩემს აქ ყოფნას საუკუნეები დასჭირდეს.

ნინომ სთხოვა მეფე მირიანს, რომ იოვანეს შემდეგ, ეპისკო-პოსად დაედგინა იაკობ მღვდელი, რომელმაც დიდი ღვანლი გაიღო ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის.

იოვანე ეპისკოპოსმა კი სწირა და აზიარა ნინო ქრისტეს სისხ-ლით და ხორცით.

ნინომ, ზიარების შემდეგ, შეავედრა თავისი სული ცის მეუფეს, მისი ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელს, ქრისტეს ამა-ღლებიდან სამას ოცდათვრამეტ, ხოლო დასაბამიდან წელთა ხუთიათას რვაას ოცდათვრამეტ წელს.

ნინოს მიცვალების გამო, მთელი ქართლი გლოვამ მოიცვა. მირიან მეფეს უნდოდა ნინოს გადასვენება მცხეთაში, მაგრამ ანდერძის გამო, ძლევით შემოსილი გვამი დაფლეს დაბა ბოდში.

ნინოს მიცვალების შემდეგ ივერიაში დაიწყო ახალი ერა. ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად, რომელ-საც პირველი გამოეხმაურა ქრისტეს მხედარი, ბიზანტიის მეფე კონსტანტინე დიდი, რომელმაც გამოაგზავნა მძევალი მირიანის ძე ბაქარი და მირიან მეფეს წერილით აუწყა შემდეგი: „მე, კონსტანტინე მეფე, თვითმპყრობელი, ცათა მეუფის ახალი მონა, პირველად ეშმაკისაგან დატყვევებული და მერე გამოხსნილი დამბადებლის მიერ, გწერ შენ, ღვთივ განბრძნობილს და ჩემსავ-ით ახალნერგ მორწმუნე მეფე მირიანს. იყოს შენთან მშვიდობა და სიხარული, ვინაიდან იცან სამება ერთარსება, ღმერთი დაუ-საბამო ყოვლისა დამბადებელი, აღარ მინდა მე შენგან მძევა-ლი, არამედ საკმარისია ჩვენს შორის შუამდგომლად ქრისტე, ძე ღმრთისა, უამთა უპირველეს შობილი, რომელიც განკაცდა ჩვენი ხსნისათვის და მისი პატიოსანი ჯვარი, რომელიც მოცე-მული გვაქვს საწინამძღვროდ მის გულით მოსავებს. დამბადე-ბელი ღვთის შუამდგომლობით ვიყოთ ჩვენ ძმებივით, სიყვარუ-ლით, შენი შვილი შენთვისვე მომინიჭებია, იხილე და გაიხარე და ღმერთისგან მოვლინებული მშვიდობის ანგელოზი იყოს შენთან მარადის. დამბადებელმა ღმერთმა განდევნოს შენი საზღვრე-ბიდან ეშმაკი.“

წიგნში გამოყენებულია პოეტ ოთარ თილილაურის  
(თორლვა ანატორელი) ლექსები



დაიბეჭდა შეს „მწიგნობარის“ სტამბაში  
0102, ქ.თბილისი, კიევის ქ. №10

[www.motsignobridge.com](http://www.motsignobridge.com)



ძალიან ძნელია გადმოსცე თექვსმეტი საუკუნის წინ განვითარებული მოვლენები. შით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის ისტორიაში უდიდეს მოვლენას — ქართველთა გაქრისტიანებას და ჭეპჩარიტი რელიგიის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას. მაგრამ ზოგჯერ სურვილი იმდენად დიდია, რომ შედეგის მისაღწევად მონოლითური გამოვლენება საჭირო. ნაწარმოები ასახული მოვლენების გასამუქრებლად გამოვიყენე თითქმის ყველა ისტორიული წყარო. ამისთან, ზოგიერთი ეპიზოდი ჩემთვის საკელესიო და ხალხური გადმოცემებიდან იქნა აღმოცული. ეს უკანასკენელი რამდენად ახლოს არის რეალობასთან, მკითხველმა გამსაჯონ.

ნებადა მოცეკვულთა სწორი, ჩეენი ერის განვიათლებელი, დედა ნინი ყოფილიას ჩვენი სამშობლოს და თითოეული ჩვენგანის მფარველი. ამინ!

ISBN 978-9941-465-20-8



9 789941 465208 >